

**თინათინ ბუბუაშვილი**

ეკონომიკის დოქტორი, აკ. წერეთლის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

**კომერციული ბანკების როლი მცირე და საშუალო  
ბიზნესის განვითარებაში**

მცირე მეწარმეობა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ეროვნული ეკონომიკის განუყოფელი ნაწილია. თანამედროვე ეკონომიკა წარმოდგენილია კარგად განვითარებული მცირე საწარმოო სექტორის გარეშე, ვინაიდან იგი ეკონომიკას უფრო მოქნილ და მანევრირებად ხასიათს აძლევს, და უზრუნველყოფს, მოსახლეობის საწარმოო და ფინანსური რესურსების მობილიზაციას, მინიმალური დანახარჯებით ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს, ხელს უწყობს ადამიანის მეწარმეობრივი უნარის ამოქმედებას და უზრუნველყოფს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მთელი რიგი მნიშვნელოვანი მიმართულებით განვითარებას; იგი ხელს უწყობს დასაქმების პრობლემის გადაჭრას და შესაბამისად ქვეყნის სოციალური ფონის გაუმჯობესებას და საბოლოო ჯამში ავითარებს საბაზრო ურთიერთობათა ფორმირების პროცესში დემოკრატიულ საწყისებს.

გაეროს 2008 წლის გამოკვლევებით მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებულია მთლიანად დასაქმებულთა ნახევარზე მეტი. ეს პრაქტიკული მონაცემი ყველაზე ნათლად მიუთითებს მცირე და საშუალო ბიზნესის მნიშვნელობაზე. თუმცა, მცირე საწარმოო სუბიექტების ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემაა ფინანსური რესურსების სიმცირე, რომელიც მას ფუნქციონირების პროცესში ესაჭიროება ისეთი მნიშვნელოვანი ამოცანების გადასაჭრელად, როგორცაა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება ან ახალი ძირითადი საშუალების შექმნა, მუდმივი და სტაბილური სასაქონლო მარაგების შექმნა, მიმდინარე ხარჯების დაფარვა და სხვა.

აღნიშნული ამოცანების წარმატებით გადაჭრა განაპირობებს ზოგადად, საწარმოო სუბიექტის წარმატებას, რაც თავისთავად უზრუნველყოფს სტაბილურ, მზარდ მოთხოვნას საწარმოს მიერ წარმოებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე. სწორედ ფინანსური რესურსების სიმცირე განაპირობებს მცირე და საშუალო მეწარმეობის ნაკლებკონკურენტუნარიანობას, რის გამოც განსაკუთრებით მაღალია ამ ტიპის საწარმოო სუბიექტებში გაკოტრების მაჩვენებელი (გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ მცირე და საშუალო საწარმოების საშუალოდ 40% კოტრდება ფუნქციონირების დაწყებიდან 2 წელიწადში). მცირე და საშუალო საწარმოების ფუნქციონირების ამ რთულ და მეტად წინააღმდეგობრივ პროცესში იკვეთება საწარმოს მიერ მოზიდული ფინანსური სახსრების, მათ შორის განსაკუთრებით – კრედიტის როლი. კრედიტი მჭიდროდ არის დაკავშირებული საწარმოთა წრებრუნვასთან და მისი განხორციელების ერთ-ერთ იარაღს წარმოადგენს. წრებრუნვის პროცესში სახსრები პერიოდულად დებულობს ფულად ფორმას და ამის გამო, საწარმოთა სახსრების გარკვეული ნაწილი მუდმივად ფულად ფორმაშია. საწარმოთა ფულადი სახსრების მოცულობა მერყეობს სახსრების შემოსავლისა და მათი ამა თუ

საქონლისა და მომსახურების მიწოდება

იმ საჭიროებისათვის ხარჯვის ვადების მიხედვით.

სახსრების შემოსავლისა და ხარჯვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა, ამიტომ წრებრუნვის პროცესში საწარმოებს აუცილებლად წარმოეშება დროებითი საჭიროება დამატებით ფულად სახსრებზე, რომელიც აუცილებელია სხვადასხვა მნიშვნელოვანი ამოცანების გადასატრიალად. კრედიტის საჭიროება მცირე და საშუალო საწარმოებში უფრო იგრძნობა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ შედარებით მსხვილ საწარმოო სუბიექტებს დამატებით ფულადი სახსრების მოძიების სხვა ალტერნატიული გზებიც გააჩნიათ (მაგალითად, აქციების ან ობლიგაციების გაყიდვა), ხოლო მცირე და საშუალო საწარმოებს ფინანსური რესურსის მოზიდვის ერთ-ერთი თუ არა ერთადერთი წყარო კრედიტია.

კრედიტის მნიშვნელობასთან ერთად იზრდება კომერციული ბანკების, როგორც ძირითადი საკრედიტო რესურსის მქონე ეკონომიკური სუბიექტის როლი და მნიშვნელობა, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში. მართალია კრედიტის გამცემი სხვა სუბიექტებიც არსებობს (მაგალითად, მიკრო-საკრედიტო ორგანიზაციები), მაგრამ მათი წილი ეკონომიკის მოტიან დაკრედიტებაში ძალიან მცირეა. კომერციული ბანკები საბაზრო ეკონომიკის ცენტრალურ რგოლს წარმოადგენს, საბანკო სისტემის სტაბილური ფუნქციონირება, რაც გულისხმობს, რომ კომერციულმა ბანკმა სრულად შეძლოს თავისი ფუნქციების შესრულება, საერთო ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილურობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ფაქტორია და პირიქით, რაც ფინანსური კრიზისების წარსულის გამოცდილებამ და მსოფლიოში უკანასკნელ პერიოდში მიმდინარე რიზისულმა პროცესებმა ნათლად დაადასტურა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მთავარ პრობლემად რჩება ეკონომიკის რეალური სექტორის დაკრედიტება. საფინანსო და რეალური სექტორი ერთმანეთისგან ფაქტორივად მოწყვეტილია და თითოეული მათგანი საკუთარ რეჟიმში ფუნქციონირებს ფულის ნაკადები უმთავრესად, მიედინება არა რეალურ სექტორში, არამედ ფინანსურ სექტორში და ხშირ შემთხვევაში, სპეკულაციურ ოპერაციებს უწევს მომსახურებას. რეალური სექტორი კი განიცდის “ფულის შიმშილს”. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ რეალური სექტორის დაკრედიტება დაკავშირებულია დიდ რისკთან, უფრო კონკრეტულად, ეკონომიკის რეალური სექტორის, კერძოდ კი მეწარმეობის დაკრედიტების მასშტაბების სიმცირესთან, რასაც ერთი მხრივ, ფინანსური რესურსების სიმცირე, ხოლო მეორე მხრივ, ამ სექტორში არსებული არასახარბიელო მდგომარეობა განაპირობებს. კერძოდ, მცირე საწარმოების დიდი ნაწილი ამორტიზირებულია, მოძველებულია, შესაბამისად მათ არ შეუძლიათ აწარმოონ კონკურენტუნარიანი საქონელი თუ მომსახურება, რაც ნაკლებად მიმზიდველს ხდის კომერციული ბანკების მხრიდან მათ დაკრედიტებას. ამ პრობლემას ემატება ისიც, რომ კომერციული ბანკები ჯერ კიდევ ერიდებიან მცირე და საშუალო ბიზნესის გრძელვადიან დაკრედიტებას, რაც გამოწვეულია 4 ძირითადი მიზეზით:

- ფინანსური რისკი – არარენტაბელურ საწარმოში დიდია სესხის გადახდის უუნარობით გამოწვეული რისკი;
- მოკლევადიანი დაკრედიტებისას ფულის ბრუნვის სიხშირე უფრო მეტია, ვიდრე გრძელვადიანი დაკრედიტებისას; ამიტომ კომერციული ბანკები ამჯობინებენ უფრო სწრაფად აბრუნონ შეზღუდული ფინანსური რესურსები ვიდრე დააბანდონ იგი გრძელვადიან აქტივებში.
- მოზიდული სახსრების, კერძოდ კი დეპოზიტების ნაკლებვადიანობა, რომლის გამომ-

წვევი ძირითადი მიზეზია ნდობის ნაკლებობა საბანკო სექტორის მიმართ;

□ პოლიტიკური რისკი – განვითარებადი ქვეყნების უმეტეს ნაწილში, მათ შორის საქართველოშიც არსებული პოლიტიკური მდგომარეობა, უარყოფითად აისახება ბიზნესზე;

ამ მიზეზების შედეგია საქართველოს საკრედიტო ბაზარზე შექმნილი დღევანდელი რეალობა. კერძოდ, ერთი მხრივ ბიზნესსესხების წილი მთლიან საკრედიტო პორტფელში 15%-ს არ აღემატება, მეორე მხრივ, დაფინანსებული მცირე და საშუალო ბიზნესის ვადიანობა ძირითადად მერყეობს 12-დან 24 თვემდე. ამის გამო საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, კომერციული ბანკები სრულად ვერ ასრულებენ ეკონომიკის მასტიმულირებელ, გამაჯანსაღებელ როლს.

დღევანდელპირობებში, მცირე და საშუალო ბიზნესის საკრედიტო რესურსებით უზრუნველყოფას ხელს უშლის შემდეგი მიზეზები:

1. სამეწარმეო სტრუქტურების აბსოლუტურ უმრავლესობის მძიმე ფინანსური მდგომარეობა, რაც განაპირობებს სკომერციული ბანკების მხრიდან ნაკლებ დაინტერესებას მათ დაფინანსებაზე. ასეთი სახის საწარმოების ძირითადი ნაწილი სესხის დაბრუნების თვალსაზრისით კომერციული ბანკების პოზიციიდან ნაკლებსაიმედოა. ამიტომ საკრედიტო სუბიექტები განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენენ მათ დაკრედიტებაში;

2. რესურსების სიმცირე, რაც განაპირობებს იმას, რომ დაკრედიტების დროს ბანკები უპირატესობას უფრო მსხვილ საწარმოო სუბიექტებს ანიჭებენ, რომელთაც აქვთ სესხის საიმედო უზრუნველყოფა;

3. ვადაგადაცილებული სესხების რაოდენობის ზრდა მთლიან საკრედიტო პორტფელში, რაც ბანკის ლიკვიდობაზე უარყოფით გავლენას ახდენს. ამის პარალელურად, არ არსებობს აღნიშნული რისკის დაზღვევის თუ გადაზღვევის მექანიზმი, რომ საკრედიტო ორგანიზაციას საშუალება მიეცეს სესხის გადახდისუუნარობით გამოწვეული რისკი გადაანაწილოს სხვა ეკონომიკურ სუბიექტზე.